საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მონაწილეობითი პროგრამის წერილობითი მოსაზრებები

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ორგანიზებით, საქართველოში ადამიანების სათანადო საცხოვრისით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესასწავლად გამოცხადებული საკომიტეტო მოკლვევის მიზნებისათვის წარმოგიდგენთ წერილობით მოსაზრებებს, თქვენს მიერ წამოჭრილი საკითხების შესაბამისად.

- **მომხსენებელი:** საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის უსახლკარობის პოლიტიკის პროექტის კოორდინატორი, იურისტი, ანანო ცინცაბაძე
- **პოტენციური მომხსენებელი:** საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის, მონაწილეობითი დემოკრატიის პროგრამის კოორდინატორი, იურისტი, ვახტანგ ნაცვლიშვილი.
- **სუბიექტები,** რომლებიც აუცილებელია ჩაერთოს საკომიტეტო მოკვლევის პროცესში: ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), ქალაქ თბილისის მერია, ქ. ბათუმის მერია, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატი.

მოკლე რეზიუმე. წერილობითი მოსაზრებები მოიცავს კვლევასა და ანგარიშებზე დაყრდნობით მოპოვებულ ინფორმაციას. ტექსტში ძირითადად მოცემულია უსახლკარო პირის საკანონმდებლო დეფინიციის პრობლემა, სტატისტიკის არ არსებობასთან დაკავშირებული საკითხები, უსახლკარო პირთა ჯგუფებისა და უსახლკარობის მიზეზების ძირითადი მახასიათებლები, ასევე, უსახლკარობის სერვისების კარგი პრაქტიკის მაგალითები და საქართველოში ამ კუთხით არსებული პრობლემები.

საკითხი 1: რა ელემენტებს უნდა მოიცავდეს „უსახლკარო პირის“ დეფინიცია?

უსახლკარო პირის დეფინირების მიზანია, გარანტირებული გახადოს ყველა მოქალაქის უფლება საცხოვრისზე და მოიცვას კონკრეტულ მოცემულობაში არსებული უსახლკარობის სხვადასხვა გამოვლინება. მიჩნეულია, რომ უსახლკარობის ეროვნული ცნება უნდაეფუძნებოდეს სახელმწიფოს მიერ უსახლკარო პირთა მდგომარეობის მუდმივ კვლევას და ანალიზს, რაც შესაძლებელს ხდის უსახლკარობის სხვადასხვა მანიფესტაციის ასახვას უსახლკარობის ნორმატიულ დეფინიციაში და სახელმწიფოს მხრიდან საპასუხო ჩარევის მიმართულებების განსაზღვრას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით. შესაბამისად, მხოლოდ არსებული რეალობის ზედმიწევნით და ზუსტი აღწერა

უზრუნველყოფს უსახლკარობის სრული სურათის დანახვას, მის ადეკვატურ გადატანას ცნების შინაარსში და უსახლკარობის სხვადასხვა ფორმასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების შემუშავებას. დასახელებული მიზნების შესასრულებლად აუცილებელია, უსახლკარო პირის დეფინიცია შემდეგ ძირითად კრიტერიუმებს აკმაყოფილებდეს:

• არსებობდეს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული უნიფიცირებული დეფინიცია;
• მისი შინაარსი იყოს ნათელი და არაორაზროვანი;
• სრულად მოიცავდეს რეალობაში არსებულ უსახლკარობის როგორც ღია, ისე დაფარულ ფორმებს და სათანადო საცხოვრისის კომპონენტს.

1.1. შეაფასეთ საქართველოს კანონმდებლობით არსებული ტერმინი;

კვლევამ აჩვენა, რომ უსახლკარო პირის საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებული დეფინიცია მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს და სრულად არ ასახავს საცხოვრისის უფლების შინაარსის დამდგენ საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, ცნება პირის უსახლკარობის შესაფასებლად ბუნდოვან კრიტერიუმს იყენებს, რაც ღიაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფართო ინტერპრეტაციისათვის და ქმნის შესაძლებლობას მათი მხრიდან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებისა და არაერთი უსახლკარო ჯგუფის ცნებიდან გამორიცხვისთვის; ამასთან, დეფინიცია მისი ხედვიდან ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, თუმცა არასათანადო პირობებში მცხოვრებ პირებს. ასევე, დეფინიციის მოთხოვნების დაკმაყოფილება უკავშირდება თვითმმართველობის ორგანოში პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის ფაქტს, რაც პრაქტიკაში უმეტესად არ ხორციელდება მუნიციპალიტეტების მხრიდან და დამატებით დაბრკოლებას ქმნის პირის უსახლკაროდ მიჩნევისათვის.

1.2 ვის მოიაზრებთ უსახლკაროთა ჯგუფებად?
საკითხი 8. რომელი ჯგუფები ითვლებიან უსახლკარობის ზღვარზე მყოფებად?

მნიშვნელოვანია, პოლიტიკის წარმოებისას, სახელმწიფომ დაინახოს და დასახმარებლად მოიაზროს მის რეალობაში არსებული და საერთაშორისო გამოცდილებით ამგვარად მიჩნეული ყველა ტიპის და ფორმის უსახლკაროთა ჯგუფები, ასევე პირები, რომლებიც უსახლკარობის საფრთხის წინაშე დგანან. საერთაშორისო სტანდარტით უსახლკაროებად ძირითადად მოიაზრებენ შემდეგ ჯგუფებს:

ჭერის გარეშე მცხოვრები პირები. ამ ჯგუფში იგულისხმებიან ქუჩაში და თავშესაფრის გარეშე მცხოვრები პირები, ასევე პირები, რომელსაც არ გააჩნიათ არავითარი თავშესაფარი, გამორიცხულნი არიან საცხოვრისის როგორც სივრცითი, ისე სამართლებრივი და სოციალური განზომილებებიდან და ცხოვრობენ ღია ცის ქვეშ.

სახლის არ მქონე პირები. ამ ჯგუფში მოიაზრება უსახლკაროთა საცხოვრისებში, ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფრებში, ემიგრანტთა თავშესაფრებში, ინსტიტუციიდან გასვლის წინაშე მყოფ და უსახლკარობის გამო გრძელვადიანი დახმარების მიმღები პირები, როგორებიც არიან მოხუცთა თავშესაფარში მცხოვრები პირები, ასევე – ყოფილი უსახლკაროები, უსახლკაროთა ჰოსტელებში, დროებით და ტრანზიციულ საცხოვრისებში, ან ლტოლვილთა თავშესაფრებში მცხოვრები პირები, ანუ ზოგადად ის ბენეფიციარები, რომელთა თავშესაფარში ცხოვრების ვადა დროსთანაა დაკავშირებული და ერთ წელს არ აღემატება. ასეთი ტიპის თავშესაფრებში ბენეფიციარები წელიწადზე ნაკლები ვადით რჩებიან. როგორც წესი, თავშესაფარში დარჩენის ვადა კონკრეტულ პირობას ებმის, როგორიცაა: ძალადობის შემთხვევის აღმოფხვრა, გრძელვადიან საცხოვრისში გადაყვანა და სხვა.

არასათანადო საცხოვრისში მცხოვრები პირები. პირები, რომლებიც ცხოვრობენ მოძრავ სახლებში, ავტომობილებში, საცხოვრისის ფუნქციის არმქონე სხვადასხვა კონსტრუქციაში ან თავს აფარებენ არამყარ ნაგებობებს და საცხოვრისად გამოუსადეგარ კონსტრუქციებს. აღნიშნულ ჯგუფში მოიაზრებიან ასევე გადატვირთულ სივრცეებში მცხოვრები პირები, საფრთხის შემცველ გარემოში მცხოვრები პირები. პირები, რომლებიც საცხოვრისში ცხოვრობენ სამართლებრივი გარანტიების გარეშე, გასახლებისა და ძალადობის საფრთხის ქვეშ; ასევე დროებით, მეგობრებთან, ან ახლობლებთან მცხოვრები პირები.

საკითხი 2: შეგიძლიათ თუ არა ისაუბროთ უსახლკარობის პრობლემის მასშტაბებზე საქართველოში?

კანონმდებლობა უსახლკარობის საკითხში პოლიტიკის განმსაზღვრელ ცენტრალურ უწყებად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოიაზრებს და მასთან მიმართებით, ერთადერთ კონკრეტულ ვალდებულებას განსაზღვრავს, რაც უსახლკარო პირთა სარეგისტრაციო მონაცემების შეგროვებასა და ერთიანი ცენტრალური ბაზის წარმოებას გულისხმობს (სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონი. თავი IV, მუხლი 17, პუნქტი „დ“). თუმცა ამ ფუნქციის განხორციელება პრაქტიკაში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არ ხორციელდება. არ არის უზრუნველყოფილი აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების მექანიზმი და მეთოდოლოგია, მათ შორის, არ არსებობს მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა. აღნიშნულს განაპირობებს ისიც, რომ დღევანდელი პრაქტიკით, უსახლკარო პირთა აღრიცხვა და რეგისტრაცია უმეტესად არ ხორციელდება მუნიციპალიტეტების მხრიდან. (საქართველოს სახალხო დამცველი. 2017 235). მართალია, გასულ პერიოდებთან შედარებით, გაზრდილია იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ მონაცემთა ბაზებს და აღრიცხავენ თავშესაფრის არმქონე პირებს (საქართველოს სახალხო დამცველი. 2017 237), თუმცა რიგ მუნიციპალიტეტებში ბაზების შექმნა კვლავ მხოლოდ მოქალქეთა მიმართვიანობის საფუძველზე ხდება და ვერ აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ პროაქტიულიად მოძიების, შეფასებისა და რეგისტრაციის შედეგად, უსახლკაროთა სრული მასშტაბის გამოვლენის საჭიროებას.

უსახლკარო პირთა ოფიციალური სტატისტიკის არ არსებობის პირობებში, ჭერის არ მქონე და არასათანადო საცხოვრისში მყოფი პირების რაოდენობის მასშტაბზე ცალკეული მუნიციპალიტეტების მიმართვიანობის სტატისტიკიდან შეგვიძლია ვიმსჯელოთ. თბილისის მუნიციპალიტეტს მხოლოდ 2016-2017 წლებში 8 661-მა პირმა მიმართა საცხოვრისის პრობლემის გადაჭრის მოთხოვნით (სახალხო დამცველი, 2017. ნაწილი 22,1 გვერდი 234). 2010-16 წლებში, ქალაქ ქუთაისში, საცხოვრისის მოთხოვნის მიმართვიანობა 1694-ს უტოლდება. ქალაქ ბათუმში, ამავე პერიოდში, აღრიცხულია 2.320 განცხადება (ქუთაისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტები, 2017).

უსახლკარო პირთა რაოდენობის მასშტაბზე მსჯელობა შესაძლებელია ქვეყანაში არსებული **სოციალური მდგომარეობის მიხედვითაც.** UNICEF-ის „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ თანახმად, ეროვნულ დონეზე, შინამეურნეობების მთლიანი რაოდენობის 4.3%, მოსახლეობის 5.0%, ბავშვების 6.8% და პენსიონერების 3.7% უკიდურესი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (გაეროს ბავშვთა ფონდი. 2017. 12). სიღარიბე და სოციალური მოწყვლადობა კი უსახლკარობის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2015 წლის მონაცემებით, 401-მდე სახელმწიფო ობიექტში უნებართვოდ მაცხოვრებელი ოჯახების რაოდენობა 9805-ს შეადგენდა. ამ ოჯახებიდან, 2764 სოციალურად დაუცველი, ხოლო 2013 სხვა სოციალური სტატუსის მატარებელი ოჯახი გახლდათ (სახალხო დამცველი 2015. 10); გარდა ამისა, ქვეყანაში 2017 წლამდე მოქმედმა რადიკალურად გამარტივებულმა საკრედიტო პოლიტიკამ, მკვეთრად გაზარდა სოციალური მოწყვლადობის მიზეზით იპოთეკით დატვრითული და კრედიტის გადაუხდელობის გამო დაკარგული საცხოვრისების რაოდენობა (ურბან რეაქტორი, 2018. 73). აქვე უნდა გავითვალისწინოთ, სამშენებლო კომპანიების მიერ წარმოებული

ფინანსური პირამიდების ჩამოშლის შედეგად, უბინაოდ დარჩენილ პირთა არაოფიციალური სტატისტიკაც, რაც 48 000-მდე ადამიანს შეადგენს (ურბან რეაქტორი, 2018. 75). უსახლკარობის გამომწვევ სოციალურ მიზეზებს შორისაა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმიუწვდომლობა უმუშევრობა თუ არასათანადო დასაქმებაც სოციალური სიდუხჭირისა და სოციალური პოლიტიკის სისუსტის მრავალფეროვანი შედეგები მიუთითებს, რომ სოციალური მოწყვლადობის ნიშნით, უსახლკაროთა რიცხვი შესაძლოა საგანგაშოდ დიდი იყოს.
უსახლკაროთა რიცხვზე პრობლემის მიზეზებით მსჯელობისას, გასათვალისწინებელია, ასევე საქართველოს **სოციო-კულტურული თავისებურებების** გამო უსახლკარობის მდგომარეობაში ჩავარდნის რისკები. ოჯახში ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორო ძალაუფლებრივი პოზიციები, ქალების შევიწროება, მათ მიმართ ძალადობა, მემკვიდრეობის საკითხების კონსერვატიული მოწესრიგება, ასევე კერძო საკუთრებისა თუ საშინაო შრომის უსამართლო განაწილება უსახლკარობის განმაპირობებელი მსხვილი ფაქტორებია.
შედარებით მოწერსიგებულია **ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად** გამოწვეული მიგრაციის პროცესების დროს გადაადგილებულ და **საომარი კონფლიქტების დროს** გადაადგილებულ პირთა სტატისტიკა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ეკო მიგრანტების რიცხვი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ბაზაში 5285 ოჯახს, ხოლო დევნილთა რაოდენობა, 88704 ოჯახს აღწევს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა
და ლტოლვილთა სამინისტრო). თუმცა, სახელმწიფო საცხოვრისის პოლიტიკის ნაწილად არ მოიაზრებს და შესაბამისად, არ აწარმოებს სტატისტიკას **განვითარების, ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების** შედეგად გადაადგილებულ პირთა შესახებ (ქეთი გუჯარაიძე, 2018).

2.1 რა ინდიკატორების/პირობების არსებობას თვლით საჭიროდ იმისთვის, რომ სახელმწიფოს გააჩნდეს უსახლკარო პირთა ზუსტი სტატისტიკა

უსახლკარობის კვლევა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი უსახლკარობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტური ინსტრუმენტების შემუშავების უმნიშვნელოვანესი გზაა. უფრო მეტიც, ევროპის სოციალური ქარტიის კომიტეტი თავის დიგესტებში პირდაპირ მიუთითებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მხოლოდ უსახლკაროთა სტატისტიკურ და კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებული სტრატეგია მიიჩნევა ქარტიის მოთხოვნებთან შესაბამისად. ევროპის ქვეყნების გამოცდილებით, უსახლკარობასთან დაკავშირებული კვლევითი მონაცემების დამუშავება მოიცავს როგორც უსახლკარო, ისე უსახლკარობის რისკის წინაშე მდგარი პირების იდენტიფიცირებას, რასაც სახელმწიფოები სტატისტიკის ეროვნული ორგანიზაციების მეშვეობით ახორციელებენ. კვლევის პროცესი მოიცავს უსახლკაროთა და უსახლკარობის რისკის ქვეშ მყოფი პირების რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებას, ასევე, უსახლკარობის მიზეზებისა და იდენტიფიცირებული პირების ინდივიდუალური საჭიროებების კვლევას. ამ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დგება პრიორიტეტების სისტემა, რაც ასევე საფუძვლად ედება სათანადო ფინანსური და ინფრასტრუქტურული რესურსების საჭიროების განსაზღვრას, მათ შორის, საერთაშორისო სოციალური ფონდებიდან თანხის მოთხოვნის პერიოდულობის დადგენას.

საკითხი 3. რა პრიორიტეტები შეიძლება გააჩნდეს უსახლკარობის პოლიტიკის მთავარ დოკუმენტს?

უსახლკარობასთან ბრძოლის დაგეგმვა და სტრატეგიის შემუშავება, სხვადასხვა ქვეყნების სოციალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. უსახლკარობის აღმოფხვრის პოლიტიკა და მასში ინტეგრირებული სერვისების ტიპები, სახელმწიფოს იდეოლოგიური და

პოლიტიკური დეკლარაციების მიღმა, ადამიანის უფლებების სტანდარტების აღიარებასა და მათ დაცვასთანაა დაკავშირებული. სოციალური მეცნიერების მკვლევართა შორის კამათს აღარ იწვევს ის საკითხი, რომ სიღარიბისა და უთანასწორობის შედეგებთან ბრძოლა, ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე დაფუძნებული, **ეფექტური სერვისების** სტრატეგიის დოკუმენტში ასახვითა და მათი განხორციელებითაა შესაძლებელი.
ამჟამად ქვეყნების უმრავლესობა უსახლკარობის სტრატეგიებს **„საცხოვრებელი უპირველესად“** მიდგომაზე აფუძნებს, რაც ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, მისი საცხოვრისის სერვისებით დაუყოვნებელ და უპირობო უზრუნველყოფას გულისხმობს. სხვადასხვა ტიპის ადიქციის დამარცხების, სამუშაოს დაწყების და სხვა პირობების დაკმაყოფილება, აღარ წარმოადგენს საცხოვრისით უზრუნველყოფის წინაპირობას. ამ პრინციპის თანახმად, საცხოვრისით უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ბენეფიციარის მიერ მისი სოციალური პრობლემების, ადიქციისა და სხვა ფაქტორების გადაჭრის მიუხედავად ამ ფაქტორების შესაბამისი სერვისების საცხოვრებელში განსახლებისთანავე უზრუნველყოფის პირობით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, კრიტიკული მნიშვნელობა აქვს უსახლკარობის მრავალგანზომილებიანი ბუნებისა და უსახლკარო ჯგუფების მრავალფეროვნების გათვალისწინებას. უსახლკარობის აღმოფხვრის სტრატეგია უნდა დაეფუძნოს უსახლკარობის მკაფიო ცნებისა და მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ ანალიზს, ასევე ის უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ სისტემატურად ნაწარმოების სტატისტიკის შედეგი და ცენტრალურ და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთკოორდინაციის განმსაზღვრელი ეფექტური მექანიზმი.

საკითხი 4. უსახლკარობის პრობლემის გამომწვევი მიზეზები?

უსახლკარობის პრობლემის გადაჭრა აუცილებლად საჭიროებს უსახლკარობის მიზეზების სისტემატურ დადგენასა და კომპლექსურ კვლევას. გამოცდილება აჩვენებს, რომ შრომის ბაზრის დრამატული ცვლილება, მასობრივი უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა და კეთილდღეობის პოლიტიკების არქონა ძირითადად ის სტრუქტურული მიზეზებია, რაც ზოგიერთ შემთხვევებში, ასეთი გარემოს მიმართ ზოგიერთი ჯგუფის მაღალი მოწყვლადობის გამო (ჯანმრთელობის არასახარბიელო პირობების, განათლებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობის, სოციალური და ოჯახური კავშირების ნაკლებობის შემთხვევებში) მათ უსახლკარობას იწვევს. გარდა აღნიშნულისა, პირის უსახლკარობის რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ქირის გადახდის შეუძლებლობასთან, ოჯახურ კონფლიქტებთან, არასათანადო საცხოვრისში ცხოვრებასთან, მატერიალური და არამატერიალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის პრობლემასთან და ა.შ. შესაბამისად, საჭიროა კონკრეტული სახელმწიფოების კონტექსტების გათვალისწინებით, ამგვარი მონაცემების ყოველწლიური შეგროვება, რაც რისკ ჯგუფების იდენტიფიცირებასა და უსახლკარობის მიზეზების ანალიზის საშუალებას გააჩენს და უსახლკარობას ინდივიდუალ და დევიაციურ პრობლემად არ შეაფასებს.
კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ზოგიერთი ძირითადი მიზეზი, ამგვარია:

- უსახლკარობის ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული მიზეზი მშობლიურ ტერიტორიულ ერთეულზე დარჩენის შეუძლებლობაა.
- საცხოვრისის დაკარგვის მდგომარეობა მიემართება როგორც ომის, ისე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირებს.
- გარდა აღნიშნულისა, კვლევამ აჩვენა, რომ ჯანდაცვის სერვისებზე ფიზიკური და ფინანსური წვდომა უსახლკარობის ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული მიზეზია.
- უმუშევრობა და არასათანადო სახის დასაქმება პირთა სხვადასხვა ნიშნით მოწყვლადობას იწვევს. აღნიშნული კი საცხოვრისის არქონის გარემოებაზე ახდენს

გავლენას. დაბალი ანაზღაურების, პრეკარიატული შრომის თუ შრომითი ექსპლუატაციის გარემოებები ძლიერ ასუსტებს პირებს შორის უსახლკარობისა და სათანადო საცხოვრისის არქონის მდგომარეობის გარდაქმნის შესაძლებლობებს.

- საცხოვრისის გარკვეული სერვისები არ არის განკუთვნილი პირთა სხვადასხვა ჯგუფისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, რაც მათ მიერ საჯარო სიკეთეებით სარგებლობის უფლებას ზღუდავს და მნიშვნელოვნად განაპირობებს მათი უსახლკარობის მდგომარეობას. საცხოვრისის სერვისების ადმინისტრირებისას სერვისების გარდამავალი ხასიათის გაუთვალისწინებლობა და ბენეფიციარებს შორის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის შესაბამისი უნარისა და საცხოვრისის გაუმჯობესების მომავალი შესაძლებლობების განვითარებაზე არასაკმარისი ზრუნვა განმეორებითი უსახლკარობის მიზეზი ხდება.
- გენდერული უთანასწორობა ოჯახური ურთიერთობების დონეზე ყველაზე დიდ ასახვას ჰპოვებს ქალებს შორის საცხოვრისის მდგომარეობაზე. ეს უკავშირდება ოჯახში კერძო საკუთრებაზე არათანაბარ წვდომას, ოჯახში ქალების მიმართ ძალადობას და ქალებსა და მამაკაცებს შორის საშინაო შრომის უსამართლო განაწილებას.

საკითხი 5: შეაფასეთ უსახლკაროთა პრობლემების აღმოფხვრაზე ორიენტირებული პრევენციული სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები
საკითხი 6: რამდენად შეესაბამება საქართველოში არსებული უსახლკარო პირთა თავშესაფრები, საერთაშორისო ნორმებით არსებულ სტანდარტებს? და ამ ეტაპზე რისი გამოსწორება მიგაჩნიათ აუცილებლად?
საკითხი: 9. რა პრობლემები იკვეთება უსახლკარო პირთათვის სოციალური/ჯანდაცვის სერვისების მიწოდების თვალსაზრისით?

აღნიშნულზე დეტალური შეფასებისთვის იხილეთ:
ა) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა, 2016 წელი. ლინკი: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf გვერდები: 52-64;

ბ) საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის პოლიტიკის დოკუმენტი: „საცხოვრისის მუნიციპალური სერვისები საქართველოში“, 2019. ლინკი: https://osgf.ge/publication/sackhovrisis-municipaluri-servisebi-saqartveloshi/?fbclid=IwAR2Rh70yDsg5L1M6yYIPHMiKQKeXEGC3W1kMIw7bVkRvQFOZbeaiQBi_GUE

საკითხი 7: როგორია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა ამ მიმართულებით?
აღნიშნულზე დეტალური შეფასებისთვის იხილეთ:
ა) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა, 2016 წელი. ლინკი: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf გვერდები: 43- 52;

რეკომენდაციები დეტალურად იხილეთ: ა) ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა, 2016 წელი. ლინკი: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf გვერდი 119;

ბ) საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის პოლიტიკის დოკუმენტი: „საცხოვრისის მუნიციპალური სერვისები საქართველოში“, 2019. ლინკი: https://osgf.ge/publication/sackhovrisis-municipaluri-servisebi-saqartveloshi/?fbclid=IwAR2Rh70yDsg5L1M6yYIPHMiKQKeXEGC3W1kMIw7bVkRvQFOZbeaiQBi_GUE